ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3598017

ნომერი: AR1543052

თარიღი : 23.09.2017

გაცემის თარიღი : 09.10.2017

გაცნობის თარიღი : 11.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება საბარგო , ქუჩა მიქელაძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მეჰმეთ ჰასდოღან პ/ნ 01591017642
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 75, კორპუსი 3, ბინა 16

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2800384 (№1058904, 14.01.2014წ.)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 26.08.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა (კომერციული-საოფისე_საცხოვრებელი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა კაპანაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი/მ მამუკა კაპანაძე

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01029014924

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ცენტრალ ჯორჯია პლიუსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405160374
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მეჰმეთ ჰასდოღან
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01591017642

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 349.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 293.85
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1719.14
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 724.17
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 365.24
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 59.05
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 186.13
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 132.1
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 10.35
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 242.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7147.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5851.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1296.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 32.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 24.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 7.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.7 (234.75 კვ.მ.) - სსზ-2 ზონაში მოქცეული 330 კვ.მ-ისთვის
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4.6 (1531.37 კვ.მ.) - სსზ-2 ზონაში მოქცეული 330 კვ.მ-ისთვის
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.2 (65.10 კვ.მ.)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 23 სექტემბრის AR1543052 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებით, ქ. თბილისში, საბარგოს დასახლებაში, მიქელაძის ქ. #6-ში შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2017 წლის 10 აპრილს და 22 მაისს სილვა არუთინოვმა და სხვებმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინეს #19/01171001567-01, 19/01171001608-01, 19/0117142393-01 და 19/0117142410-01 ადმინისტრაციული საჩივრები, რომლითაც ასაჩივრებდნენ სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 აგვისტოს #1-1872 ბრძანებით დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული საჩივრები, ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 აგვისტოს #1-1872 ბრძანება შპს „ცენტრალ ჯორჯია პლიუსის“

მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში (საქმის ნომერი #3/5154-17), რაც გულისხმობს იმას, რომ მერის 2017 წლის 18 აგვისტოს #1-1872 ბრძანება კანონიერ ძალაში არ არის შესული, წარმოება მიმდინარეობს აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოში, აქედან გამომდინარე სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანების სამართლებრივი ბედი ჯერჯერობით გადაუწყვეტელია, რის საფუძველზეც ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას , რომ ხელახლა იმსჯელოს აღნიშნულ მისამართზე პროექტის შეთანხმაბასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.